განმარტებითი ბარათი

კანონის პროექტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი :

კანონპროექტის მიღების აუცილებლობა გამომდინარეობს სახელმწიფოში არსებული გაუაზრებელი ნარკოპოლიტის არსებობით, რეალურად საზოგადოებრივად არასაშიში ქმედებებისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მახინჯი პრაქტიკით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი კანონპროექტის მიზანი:

სახელმწიფოში არსებული ნარკოპოლიტის გაუმჯობესება, მისი ლიბერალიზაცია და ამისათვის აუცილებელი სამართლებრივი მექანიზმების შექმნა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიღების შედეგად - ნარკოტიკული საშუალების - კანაფის (ზეთი, ფისი, ნაყენი, მცენარე), მარიხუანის (გამომშრალი, ნედლი) მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენისთვის ან შენახვისთვის გასაღების მიზნის გარეშე, ან/და ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის გაუქმდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტი არ იწვევს დამატებით ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს, ამის თქმის საფუძველს გვაძლევს იგივე კოლორადოს შტატის საგადასახადო სამსახურების 2015-2016 წლებში გამოქვეყნებული ანგარიშები. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია:

- მოსახლეობის რაოდენობა: კოლორადო 5.35 მლნ, საქართველო 3.73 მლნ - გამოყენებული შეფარდება 0.7 (კოეფიციენტად).
- რეგულარული მომხმარებლების წილი მოსახლეობაში - კოლორადო 9.1% (+ დამატებული ტურისტები და ბოლო წლის მომხმარებლები) – საქართველო 9% - 337,000 (რაც ახლოა რეალურ ინფორმაციასთან).

- დასაბეგრი გრამის მარიხუანის საშუალო ფასი - $10,6 (უნცია $300- 28.3გრ), საქართველოსთვის ვივარაუდოთ 20 ლარი გრამი.
- მომხმარებელი კოლორადოში მოიხმარს დღეში 0.3-დან 1.5 გრამამდე, საშუალოდ 1 გრამს. მარიხუანის მთლიანი ბაზარი კოლორადოში - 150 ტონაა,ხოლო ადგილობრივი მომხმარებლისთვის და ტურისტებისთვის ჯამში 87 ტონა.სამედიცინო და გამყიდველი პუნქტების ლიცენზირებიდან მიღებული შემოსავალს (კოლორადოში $14,5 მლნ) არ ვითვალისწინებთ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდებთ რომ კოლორადოსთან შედარებით საქართველოში მარიხუანის გამო ტურიზმის წილი ბევრად მაღალი იქნება. კოლორადოს მეზობელ შტატებში მარიხუანის მოხმარებისათვის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ არის გათვალისწინებული.ხოლო საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ეს საკითხი ყველგან მკაცრად რეგულირებულია, შესაბამისად მარიხუანის ინდუსტრიის ზომა საქართველოში ასეთი გათვლით იქნება 1,750 მილიარდი ლარი.
დამატებით ახალმა ტურისტებმა უნდა დახარჯონ წელიწადში 1,4 მილიარდი ლარი.
ჯამში მარიხუანასთან დაკავშირებული ეკონომიკის ზომა წელიწადში - 3,150 მილიარდი ლარი იქნება, ხოლო ბიუჯეტის მიერ მიღებული შემოსავალი საშუალოდ 25%-იანი დაბეგვრით 787 მლნ ლარი.

შევაჯამოთ:
1. სამ მილიარდიან ახალ ეკონომიკას ჭირდება დაახლოებით 6 მილიარდი ლარის ინვესტიცია ქვეყანაში - დამატებით 7-8 % ეკონომიკის წლიური დამატებითი ზრდა;
2. სამ მილიარდიან ეკონომიკაში ახალი სამუშაო ადგილები - 60,000;

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტი არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

პირებს, რომლებსაც დღევანდელი მდგომარეობით ეკისრებათ ჯარიმები/ფინანსური სანქციები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის კანონპროექტის მიღების შემდგომ გათავისუფლდებიან ამ ფინანსური ვალდებულებისაგან

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი;

კანონპროექტით ხდება სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული გარკვეული ქმედებებისათვის პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, შესაბამისად უქმდება ამ ქმედებისათვის ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი შეესაბამება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი ასეთები არ არსებობენ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ ასეთები არ არსებობენ.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლმენტის წევრი - გიორგი ხაჩიძე

საქართველოს პარლმენტის წევრი - ზურაბ ჯაფარიძე

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი - გიორგი ხაჩიძე

საქართველოს პარლამენტის წევრი - ზურაბ ჯაფარიძე